№ 2717
სამშაბათი,
4 იანვარი

# ცნობის ფურცელი

**გაზეთის ფასი**: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

**ხელის მოწერა 1905 წლისათვის.**

ყოველ დღიური გაზეთი **„ცნობის ფურცელი“** წელიწადი მეათე
**სურათებიანი დამატებით.**

| | | |
|---|---|---|
| კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან. | ფასი გაზეთისა გაგზავნით<br>წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე. | საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მან. |

ყოველ თვიური ჟურნალი **„მოამბე“** წელიწადი მეთორმეტე

| | | |
|---|---|---|
| კავკასიაში და რუსეთში 1 წლით 10 მან.<br>ცალკე №—1 მან. | ფასი ჟურნალისა გაგზავნით<br>ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“ | საზღვარ გარედ ერთის წლით 13 მან.<br>ცალკე №—1 მ. 20 კ. |

**◆ უფასოდ გაეგზავნება ◆**

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

## დონ-კიხოტი

**დორეს სურათებით.**

ეს თხზულება ნათარგმნია **ნიკოლოზ** [illegible]**შვილის** მიერ და შედარებულია **ჟიარდოს** ფრანგულ თარგმანთან **ალექსანდრე სარაჯიშვილის** დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ **ჟურნალის ნაწერების ფორმატისას**

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

**გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ**

## მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

**ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. (აბონემენტის რიცხვში)**
პარასკევს, 7 იანვარს, 1905 წელს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
**ორი ჯიბგირი**
პიესა 5 მოქ. და 7 სურათად დე-კურსელისა, თარგ. ვ. აბაშიძის-მიერ.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
მორიგი რეჟისორი: **ქ. მესხი.**

**სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.**
სამშაბათს, 4 იანვარს, 1905 წელს,
წარმოდგენილი იქნება: **„ნერონი“**, ოპერა 4 მოქ. მუსიკა რუბინშტეინისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დმიტრიევა, ტომკეეიჩი, ორელი, ბუნაკოვა; ბ-ნნი: დონსკოი, პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, სპერანსკი, ზალინსკი, ბაგროვი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
5 იანვარს დილით—„ტრუბადური“, საღამოთი—„ბოკაჩიო“. გამგე ი. ა. გეცევიჩი.

**ტფილისის**
**კერძო სამკურნალო**
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ი. ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.
**მ. გ. მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
**ლ. ი. კიმონტი.**—ხირურგია $11^1/_2$—$12^1/_2$ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.
**ა. ნ. დიასამიძე.**—ვენერიული და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე.
**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
**ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
**პ. ა. ბეიჭრი.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
**ლ. მ. მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.
**მ. ს. მუსხელიშვილი.**—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
**ზრ. მ. სოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

**საღამოთი:**

**გ. მ. სოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
**ტ. ს. დავიდოვი.**—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში დის სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
**ტელეფონი № 274.**

**ქუთაისში**
**კბილის ექიმი**
**დავით ს. რიჟინაშვილი**
გადავიდა **ვორონცოვის ქუჩაზე** წმ. ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე. (30—0198—2)

**ქ. ბათუმში**
**ექიმი ა. გ. მალალაშვილი**
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—13)

**ექიმი**
**ა. ნ. თეთრაძე**
სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—33)

**კბილის ექიმი**
**ი. ზ. კანდელაკი**
იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—23)

**კბილებს**
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—6)

**ქ. ბათუმში**
**ექიმი ს. ი. ბებიშვილი**
იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბებიაო) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—7).

**ექიმი**
**პ. ა. არდაზიანი**
მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10. და საღამოთი 6—$6^1/_2$ საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 160. და დიდუბეში, სამოქალაქო საავათმყ. პირდაპირ თუთაევის სახლი. საღამოს 7—8. (30—12)

განსვენებულის **თადეოზ დავითის-ძის ნაცვლიშვილის მეუღლე და დები** გულითადს მადლობას უძღვნიან იმათ, ვინც თანაუგრძნეს მწუხარებაში პირადად, დეპეშით ანუ წერილით. (1—1)

**→ კახური ღვინო ←**
თავადი მ. ს. ანდრონიკაშვილი
1 იანვრიდან 1905 წლისა ვიწყებ საკუთარის ღვინით ვაჭრობას ქ. ტფილისში, კუკიაში, სახლი ლაზარეშვილისა № 32—ნეკრასოვისა და ნიკოლოზის ქუჩების კუთხეში, პირ-და-პირ თავად გურამიშვილის სახლისა, სადაც უწინ „ივერიის“ რედაქცია იყო. (4—419—4)

**აფთიაქის მაღაზია ყვირილაში ა. ლ. მაღრაძისა.**
1904 წლის პირველი დეკემბრიდან დაბა **ყვირილაში** გაიხსნა **აფთიაქის მაღაზია**, სადაც იყიდება ყოველგვარი წამლები და კოსმეტიური საქონელი.
**ადრესი**: დაბა ყვირილა. აფთიაქის მაღაზიაში ანთიმოზ ლუკასძე მაღრაძეს.
Адресъ: Въ Квирилы. Аптекарскій магазинъ Антимосу Лукичу Маградзе. (10—413—4)

ხუთშაბათს 6 იანვარს 1905 წ.
**ტფილისის კრუჟოკის დარბაზებში**
**ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ გაიმართება**
**რაუტი**
საკონცერტო განყოფილებით და მოყვარულთა სპექტაკლით. თავაზიანობით მონაწილეობას მიიღებენ ბანოვანნი ვ. მ. ამირაჯიბი, ქ.-ბ. ვ. ტ.—ძე. ნ. ა. პაპაიანი, ნ. პ. ჩხეიძე ბატონი ვილშაუ, ა. ი. ყანჩელი, მ. ფ. ქორიძე, ნასიძე და სხვანი.
გულ-ამოჭრილი კაბა ქალთათვის და ფრაკი სამოქალაქოთათვის სავალდებულო არაა; სამხედრო და სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირთათვის დაწესებული ფორმა.
**დასაწყისი საღამოს 9 საათზე**
შესავალ ბილეთების ფასი 2 მ. 10 კაპ. შეიძლება დროითვე მიიღოს მსურველმა რაუტის მასპინძლის სკოლის გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ბანოვანის მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანისაგან, (ნიკოლოოზის ქუჩა № 106) ხოლო რაუტის დღეს—კრუჟოკის სადგომში. (4—434.—2)

**კბილის ექიმი**
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი დივნისა № 12. „კრუჟოკის“ გვერდით. (—6.—15)

**ექიმი**
**გ. ა. გედალინი**
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.
გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—13)

**ექიმ**
**ი. ა. გოკიელოვი**
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

კბილის ექიმი
**ივანე პ. ახალშენიშვილი**
**გადავიდა**: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

# რუსეთ-იაპონიის ომი

## დეპეშები

**„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“**

2 დეკემბერი.

**ხუანშანი**, 1 იანვარი. გუშინ ნაშუადღევის სამ საათზე ველის მღვდელმა პირველად გადაიხადა ცისკარი და დღეს—ლოცვა და პარაკლისი ხელმწიფე დედოფლის მიერ ბოძებულ ახალ ეკკლესია-კარავში. დაესწრნენ—არმიისა და შტაბის უფროსები, უფროსი მოხელეები, აფიცრები და სალდათები. პარაკლისის წინ მამა შავილსკიმ სიტყვა წარმოსთქვა. პარაკლისის შემდეგ არმიის უფროსმა გამოაცხადა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორის, სამეფო გვარეულობისა და მთავარ-სარდლისა.

30 დეკემბერს იაპონელთა პოზიციებზე შეამჩნიეს ჯარის მოძრაობა. ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა. 30 დეკემბერს ღამე იაპონელები მიუახლოვდნენ ჩვენ ჩასაფრებულ რაზმებს.

**ნაგასაკი**, 2 იანვარი. დილას მოვიდნენ და საღამოს გადავიდნენ ნაპირზე სტესელი მეუღლით, გენერლები, 7 აფიცერი, 2 ქალი და 6 დაობლებული ბავშვი. ნავთსადგურში იდგნენ: გვარდიის ერთი რაზმი, პოლიციელები და ჟანდარმები. სტესელი ჩქარა წავიდა წინ რამდენისამე აფიცრისა და პოლიციელის თანხლებით. რუსები ყველანი ნიჩნაგას ქალის სახლში წავიდნენ, სადაც იმათ ბინა მიუჩინეს. რამდენიმე ათმა რუსის აფიცრებმა შეიტყეს სტესელის მოსვლა და ქუჩაში გამოცვივდნენ მისაგებებლად. ქუჩებში მდუმარება სუფევდა. ნიჩნაგას სახლში რუსებს გულწრფელად გაუმასპინძლდნენ.

**ტოკიო**, 2 იანვარი. რუსეთის მთავრობის ცირკულიარი შესახებ იმისა, რომ ჩინეთი ნეიტრალიტეტს არღვევს, აქაურ მთავრობას უსაფუძვლოდ მიაჩნია. ჩინეთის სისუსტე და ის გარემოება, რომ მას არ შეუძლია ნეიტრალიტეტის დაცვა, ვერ აიძულებს იაპონიის თვალყური ადევნოს, რომ ჩინეთმა აასრულოს თავზე მიღებული ვალდებულებანი. იაპონია მიიღებს ზომებს, რომ არ განმეორდეს თავდასხმანი (რუსებისა), რომელიც მხოლოდ მაშინ ჩაივლის კარგად, თუ ჩინეთის ტერიტორიის ხელუხლებლობა იქნება დარღვეული. ნიუჩუანიდან უკანასკნელად მოსულ ცნობებით, მიშჩენკოს რაზმი გადასულა მდ. ლიოხეზე და წასულა სამხრეთით დასავლეთ[illegible] 5 პირის გაყოლებით. მაშასადამე რუსები განზრახ გადასცდნენ სამხედრო მოქმედების რაიონს (რეიტერი).

**ვაშინგტონი**, 2 იანვარი. დღეს იაპონიის ელჩს თათბირი ჰქონდა გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგთან ლუმისთან ჩინეთის ნეიტრალიტეტსა და რუსეთის ნოტაზე. ამბობენ, რომ თუ რუსეთმა არ აასრულა თავისი დაპირება სამხედრო მოქმედების რაიონის შეზღუდვის შესახებ, იაპონია იძულებული იქნება მიჰბაძოს მტრის მაგალითს. თუ რომელიმე მებრძოლი მხარე დაარღვევს ჩინეთის ნეიტრალიტეტს, ჩინეთში აჯანყება მოხდება ევროპიელების წინააღმდეგ.

**ხუანშანი**, 30 დეკემბერი. იაპონელები 29 დეკემბერს ჩვენ მოხალისეთა მიერ დაჭერილ ჭალაზე იერიშის მოტანას ეცადნენ, მაგრამ უკუ ვაგდეთ. 29 დეკემბერს ღამით იაპონელები იერიშით წამოვიდნენ ფინშინისაკენ და ჩვენ მოდარაჯე რაზმებს უკან დააწევინეს, მაგრამ რუსებმა უკან დაახევინეს იაპონელებს. ჩვენმა მოხალისეებმა, ზარბაზნის დაშენის შემდეგ, სოფელი უდინგაუ დაიჭირეს, ფანზას (ჩინურ სახლს) ცეცხლი წაუკიდეს და მერე უკან დაიხიეს. 29 დეკემბერს იაპონელები ნოვგოროდის გორას ესროდნენ ზარბაზანს, 29 დეკემბერს ღამით სოფლებს ფინდიატუნს და ლიოფანტუნს. სოფ. ტალენსიატუნში ჩვენმა არტილერიამ 29 დეკემბერს, იაპონელების ნამუშევარს სიაოპინტაიძიში ზარბაზანი დაუშინა.

**სიახეტუნი**, 2 იანვარი. ახალ წლის პირველმა დღემ წყნარად ჩაიარა, მტერს არ შეუწუხებივართ. ჯარი ახალ წელიწადს წირვის გადახდით ეგებებოდა. პორტ-არტურის დაცემამ დიდი შთაბეჭდილება არ მოახდინა არმიაზე. ყველანი ელოდნენ ამას და ჰფიქრობენ, რომ ციხის აღებას გადამწყვეტი გავლენა არ ექნება სამხედრო კამპანიის ბედზე. ჩინელები დინჯად უცქერიან პორტ-არტურის დაცემას.

(ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**იაპონელების სიხარული პორტ-არტურის აღებისა გამო.** ტოკიოში გენ. ნოგის დეპეშა პორტ-არტურის დამორჩილებაზე პირველად 20 დეკემბერს, ახალ წლის მეორე დღეს, (იაპონელები ევროპიელებივით ჩვენზე 13 დღით ადრე დღესასწაულობენ ახალ წელიწადს) მიუღიათ. ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ „ტაიმს“-ს: 20 დეკემბერს მთელი ტოკიო განუსაზღვრელ სიხარულს მიეცა. გენ. ნოგის დეპეშა ხელად გავრცელდა ქალაქში. პატარა ბიჭები ქუჩებში საგანგებოდ გამოცემულ დეპეშების შინაარსს ყვირილით ატყობინებდნენ ხალხსა; ხალხი გაგიჟებით იტაცებდა დეპეშებს და იქვე ხმა მაღლა ჰკითხულობდა; სულ 10 წამში საკვირველის სისწრაფით ყველგან სახალხო გართობა გაიმართა, შუშხუნები და ჰაეროვანი ყუმბარები აუშვეს. ქუჩებში პროცესიები გაიმართა და ხმა მაღლა ჰყვიროდნენ „ბანზაი“-ს. ომის დროს ჯერ ასეთი დღ. სასწაული და მხიარულება არა ყოფილა იაპონიაში და ხალხი ასეთ აღტაცებაში არ მოსულა. იმპერატორი საახალწლოდ ხალხის მილოცვას განაგრძობდა. ყველანი მარტო გენ. ნოგის დეპეშაზე ლაპარაკობდნენ.

როგორც ვი[illegible] არმიისაც მდ. შახეზე 20 დეკე[illegible] პორტ-არტურის აღების ამბავი და მთელი ღამე მხიარულებაში გაუტარებია. ყველგან იაპონელების პოზიციებზე მუზიკა უკრავდა, სიმღერა და „ბანზაი“-ს ყვირილი ისმოდა. იაპონელებმა ეს ამბავი მაშინვე შეატყობინეს რუსის სალდათებსაც...

**რა შთაბეჭდილება მოახდინა პორტ-არტურის აღებამ ევროპაზე.** პორტ-არტურის აღების ამბავი იაპონიის საელჩომ ოფიციალურად შეატყობინა ინგლისის მთავრობას. ინგლისის მეფეს მაშინვე დეპეშა ვაუგზავნეს ჩატსვორტში, სადაც მეფე-დედოფალი დევონშირის ჰერცოგთან იყვნენ სტუმრად. („ნ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: ლონდონის სიტიში (უმთავრ[illegible] პორტ-არტურ[illegible] გაახარა. თუმცა [illegible] ქუჩებში მაინც დიდ-ძალი ხალხი იდგა და ლაპარაკობდა, იქნება ომი მალე გათავდესო. („ნ.“).

„ტაიმს“-ის პარიზელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: პორტ-არტურის აღების ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის ოფიციალურ წრეებზე, თუმცა ამ ამბავს ყველა მოელოდა. ყველანი იმ აზრისანი არიან, თუ რუსის არმია სასახელოდ არ გაიმარჯვებს, რუსეთის სახელი შორეულ-აღმოსავლეთში ძლიერ დაეცემაო. („ნ.).

პორტ-არტურის დამორჩილების ამბავი ვენაში 20 დეკემბერს ნაშუადღევს 5 საათზე გავრცელდა. ყველა ვენურმა გაზეთმა საგანგებო დამატება გამოსცა. ყველას თავზარი დასცა პორტ-არტურის აღების ამბავმა და ყველანი მარტო რუსის ციხის დაცემაზე-ღა ლაპარაკობდნენ. რა მნიშვნელობა აქვს ამ ისტორიულ ამბავთან შედარებით ავსტრიის სამინისტროს კრიზისს, ან საპარლამენტო ბრძოლას უნგრეთში? ყველა ეს დაჩრდილა პორტ-არტურის დაცემის ამბავმა... („პ. ვ.“).

**პორტ-არტურის აღების მნიშვნელობა.** გაზეთები დღემდე პორტ-არტურის აღების დიდ მნიშვნელობასა ჰხსნიან. ავსტრიული გაზეთები უფრო მორალურ შედეგს აქცევენ ყურადღებას, ვიდრე სტრატეგიულს. გაზეთები ამბობენ, პორტ-არტურის აღება იაპონიის ძლიერებას დაანახვებს მთელს აღმოსავლეთსაო. პორტ-არტური რუსეთის ძლიერების სიმბოლო იყოო...

„ნოვოსტი“-ს პარიზელი კორესპონდენტი სწერს: პარიზის საზოგადოებისა და პრესის აზრით, პორტ-არტურის აღებ[illegible] შედეგი მოჰყვება. იაპონიის ფლოტ[illegible]ტონობა ზღვაში, მარშალ ოიამას არმიას გაძლიერება—ყველა ეს მეტად გაუძნელებს გენ. კუროპატკინს საქმესაო. ზოგიერთი, მაგალითად კლემანსო, უფრო შორსაც მიდის და ამბობს, პორტ-არტურის დაცემას უდიდესი გავლენა ექნება ევროპისა და აზიის ურთიერთობაზე. „ლორორ“-ის რედაქტორი, (კლემანსო) ინგლისურ „ტაიმს“-ს ეთანხმება და ამბობს, პორტ-არტურის დაცემა ზარის ხმასავით გაალვიძებს ჩინეთსაო.

მაინც ჩინეთზეც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პორტ-არტურის აღებას. ჩინეთის განათლებული წრეები ამბობენ თურმე, დროა, ჩვენც ჭკუაზე მოვიდეთ და ჩვენი სამშობლო დიდ ძლიერ სახელმწიფოდ ვაქციოთო. („რ.“).

იაპონიის არმიის ინსტრუქტორად ნამყოფს გენ. მეკკელს უთქვამს „ბერლ. ლოკალ-ანცაიგერ“-ის თანამშრომლისათვის: გენ. ნოგის არმია მარშალ ოიამას მიეშველება. ამაზე მეტი მნიშვნელობა იმასა, აქვს, რომ გენ. ნოგის ძლიერი არტილერიაც მუკდენისაკენ გაიგზავნება. აქამდე მდ. შა-

ხეზე რუსებს მეტი არტილერია ჰყავდათ, ვიდრე იაპონელებს, ეხლა იაპონელებს ეყოლებათ მეტი არტილერია. მაგრამ ჯერ ძნელი სათქმელია, გაჰბედავს მარშალი ოიამა წინ გალაშქრებასა და რუსის არმიაზე იერიშის მიტანას, თუ ვერა, მაგრამ იერიშის მიტანა ოიამასათვის მაინცა და მაინც საჭირო არაა, იაპონელებს ეხლა ხელთ უჭირავთ კორეია და მანჯურიის ნაწილი და პორტ-არტურშიაც ბაზა აქვთ. სანამ რუსეთი ზღვაზე ბატონობას არ მოიპოვებს, სიგიჟე იქნება, რუსის არმიამ პორტ-არტურს ხმელეთიდან ალყა შემოარტყას. („ნ.“).

**იაპონია აღარავის დაუთმობს პორტ-არტურს.** იაპონიის ელჩს ბარონ გაიაშის ლონდონში უთქვამს „სენტრალ ნიუს“-ის კორესპონდენტისათვის: არა მგონია, რომ ეხლა, რაკი პორტ-არტურის ბატონი გახდა, იაპონიამ სისულელე ჩაიდინოს და რომელსამე სახელმწიფოს იქ დამკვიდრების ნება მისცესო. („ნ.“).

ჩიფუდან დეპეშით ატყობინებენ „ბირჟევია ვედომოსტ“-ს: გენ. ნოგიმ თავის აფიცრები შეჰკრიბა და გამოუცხადა, ყველამ უნდა დაიფიცოთ, რომ პორტ-არტური საუკუნოდ იაპონელების ხელში დარჩებაო. მრავალ იაპონელის სისხლით მორწყული პორტ-არტური ეხლა იქმნება უფრო ძვირფასი იყოს იაპონიისათვის, ვიდრე სამშობლო კუნძულებიო. პორტ-არტურში გამისაჩენ ადგილას იაპონელებმა აფიშები გააკრეს და ჩინელებს აუხსნეს, პორტ-არტურის აღებით იაპონიამ ძლიერ დაამარცხა რუსეთი და ჩინეთის ხალხს მხოლოდ უნდა უხაროდეს იაპონიის გამარჯვებაო...

**პორტ-არტურის უკანასკნელი დღეები.** „ეკო დე პარი“ იუწყება, ჯერ კიდევ 11 დეკემბერს პეტერბურგში დეპეშა მიიღეს პორტ-არტურიდან: მეციხოვნე ჯარს, ყუმბარების უქონლობისა გამო, აღარ შეუძლიან გამაგრებაო და გვიბრძანეთ, როგორ მოვიქცეთო. პეტერბურგიდან უპასუხეს, ჯარის ტყუილ-უბრალოდ გაწყვეტა საჭირო არააო. ასე რომ გენ. სტესელმა ციხე პეტერბურგის მთავრობის თანხმობით გადასცა იაპონელებს. („ნ.“).

დამორჩილების წინად გენ. სტესელმა დეპეშები გაუგზავნა გენ. კუროპატკინსა და პეტერბურგის მთავრობას და შეეკითხათ: იმედი მქონდეს, რომ ერთის თვის შემდეგ დამიხსნით, თუ არაო. პასუხად მოუვიდა, ვერ გიშველითო. გენ. სტესელმა სამხედრო თათბირი მოახდინა და თათბირმა დაადგინა, მეტი ბრძოლა შეუძლებელია, იაპონელებს უნდა დავმორჩილდეთო.

პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ „ეკო დე პარი“-ს: დამორჩილების წინ გენ. სტესელმა ყველა ბაირაღი დააწვევინა. ბაირაღები ყველა აფიცრისა და მეციხოვნე ჯარის წინ დასწვეს; დიდი სიჩუმე სუფევდა; სიჩუმეს მხოლოდ ქვითინი არღვევდა. („ნ.“).

**პორტ-არტურის ესკადრა.** „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ტოკიოდან: პორტ-არტურში ჩაძირული რუსის დიდი გემები ჯერ რიგზე არ გაუშინჯავთ იაპონელებს, მაგრამ ჰფიქრობენ მაინც, რომ აფეთქებული მხოლოდ გემების წყალ ზემოთი ნაწილი იქნებაო, რადგან არაფრიდან არა სჩანს, რომ რუსებს გემების წყალ ქვემოთი ნაწილიც აეფეთქებინოთო. იაპონელებს იმედი აქვთ, იქნება რუსის გემების შეკეთება შესაძლებელი იყოსო. („რ.“).

**პორტ-არტურის სიმაგრეები.** „ნოიე ფრაიე პრესე“-ს სამხედრო მიმომხილველი პორტ-არტურის სიმაგრეებზე სწერს: ალყის შემორტყმის დროს, ციხის დასავლეთ ფრონტზე მხოლოდ მიწური სიმაგრეები და რედუტები იყო გამართული და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ განსვენებულმა გენ. კონდრატენკომ „203 მეტრიან გორაზე“ ააშენა დროებითი სიმაგრეები. ამ გორას-კი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გორის აღებამ პორტ-არტურის ბედი გადასწყვიტა; 203 მეტრიან გორის წვერზე იაპონელებმა დიდი ზარბაზნები დადგეს და ქალაქსა და პოსტს ზარბაზანი დაუშინეს. დასავლეთ ფრონტზეც რომ სხვა ფრონტებივით მკვიდრი სიმაგრეები ყოფილიყო გამართული, გენ. სტესელი კიდევ რამდენსამე თვეს გასძლებდა...

გაზეთები იუწყებიან, პორტ-არტურის დასავლეთ მხარეს არც ჩინელებს ჰქონდათ აშენებული მკვიდრი ფორტებიო.

ერთი ავსტრიელი სამხედრო ინჟენერი სწერს: რუსებმა პორტ-არტურის დაცვის დროს უმთავრესი ყურადღება არტილერიას მიაქციეს და ძველი იარაღი, ბარი (სათხრელად) და ნაღმი, დაივიწყეს. თუმცა ნაღმს დაძველებულ ხერხად სთვლიან, მაინც ამ ხერხს თავისი მნიშვნელობა აქვს. იაპონელებმა უმთავრესად გვირაბებისა და ნაღმის წყალობით გაიმარჯვეს... ეს ინჟენერი ურჩევს ავსტრიის მთავრობას, რამდენიმე სამხედრო სპეციალისტი გაგზავნეთ პორტ-არტურში, რომ ადგილობრივ რიგზე შეისწავლონ ციხის აღებისა და დაცვის საქმეო. („პ. ვ.“).

**წყნარ ოკეანის მეორე ესკადრა.** ამერიკულ სააგენტოს „ასოსიეტედ პრეს“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: თუმცა ჯერ ბძანება არაა გაცემული, მაგრამ მე მაინც ბეჯითად ვაცხადებ, რომ რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა ევროპის ზღვებში დავაბრუნოთო. („ნ. ჟ.“).

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის პარიზულმა გამოცემამ ხმა გაავრცელა, ვითომ ჯავშნიანი გემი „კნიაზი სუვოროვი“ ადმირალ როჟესტვენსკით მადაგასკარის ზღვაში ჩაიძირაო. ამის თაობაზე „რეიტერის სააგენტო“ შეეკითხა „რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს“ და პასუხად შემდეგი დეპეშა მიიღო: ნიუ-იორკ ჰერალდის დეპეშა ყოველ საფუძველსაა მოკლებული. ჯავშნიანი გემი „კნიაზ სუვოროვი“ უვნებელია, ადმირალი როჟესტვენსკიც ცოცხალია და კარგადააო. („ბ. ვ.“).

პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ „კენიგსბერგერ ცაიტუნგს“-ს: პორტ-არტურის აღებას შედეგად ის მოჰყვება, რომ ადმირალ როჟესტვენსკის ბძანებას გაუგზავნიან მადაგასკართან შედგეს. ესკადრა მადაგასკართან მაშველ ესკადრას მოუცდის. („რ.“).

ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა ეხლა კუნძულ მადაგასკართან მივიდა. ეს კუნძული საფრანგეთის სამფლობელოს შეადგენს. „ტაიმს“-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: თუმცა ფრანგი კორესპონდენტები ირწმუნებიან, რუსის ესკადრა დიდხანს დარჩება მადაგასკართანაო, მაგრამ ეს ცნობა სწორე არაა. საფრანგეთის მთავრობა მტკიცედ აპირობს ნეიტრალიტეტას დაცვას და რუსეთის გულისათვის არას დროს არ დაარღვევს მეომარ სახელმწიფოთათვის დადებულ წესებსაო. („ნ.“).

**წყნარ ოკეანეს მესამე ესკადრა.** „რუს“-ს შეუტყვია, მესამე ესკადრის პირველი რაზმი ლიბავიდან 1905 წლის იანვრის პირველ ნახევარში გავაო. ამ რაზმში ჩაირიცხებიან ჯავშნიანი გემები: „ადმირალი სინიავინი“, „გენერალ-ადმირალი აპრაქსინი“, „ადმირალი უშაკოვი“, „იმპერატორი ნიკოლაი I“, კრეისერი „ვლადიმირ მონომახი“ და რამდენიმე ნაღმიანი გემი. მესამე ესკადრის მეორე რაზმი აპრილზე ადრე არ იქმნება მზადაო.

„ტან“-ს დეპეშით ატყობინებენ კოპენჰაგენიდან, რუსეთის მესამე ესკადრა დანიის ზღვაში იანვრის გასულს გაივლისო, მეოთხე ესკადრა (ალბათ, მესამე ესკადრის მეორე რაზმი) მომავალ წლის მაისის გასულს გაივლის ზღვაშიო. („ბ. ვ.“).

**რუსეთის ახალი ფლოტი.** „ტაიმს“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: ამ ჟამად რუსეთის მთავრობა 8 ჯავშნიან გემისა და 5 ჯავშნიან კრეისერის აშენებას აპირობს; ჯავშნიანი გემები და კრეისერები პირველ კლასისა იქმნება. ამათ აშენებას 4 წელიწადზე მეტი დასჭირდება. ამას გარდა ბევრ ჩვეულებრივ კრეისერისა და 12 კონტრ-ნაღმიან გემის აშენებას აპირობენ. ბოლოს დროს რომ ნევის ქარხანაში ნაღმიანი გემები ააშენეს, უვარგისი გამოდგა. მცოდნე ხალხი ჰფიქრობს, ეს ნაღმიანი გემები ბრძოლისათვის არ გამოდგებაო და ამიტომ სამინისტრომ პრინციპიალურად გადასწყვიტა, ახალი ნაღმიანი გემები ავაშენოთო. („ნ.“).

**გენ. კუროპატკინის თხოვნა.** „ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: გენ. კუროპატკინმა გამოაცხადა, თუ დიდი მაშველ ჯარს არ გამომიგზავნით, გამარჯვება ძნელი იქმნებაო. ხმა დადის, რუსის მთავარ-სარდალმა მოითხოვა, ციმბირის რკინის გზაზე ერთი ნახევრად მეტი მატარებელი ატარონო. ამ თხოვნის შესრულება მეტად ძნელი იქმნება. ომის დაწყების შემდეგ ციმბირის რკინის გზას 537 ათასი სალდათი, 10,800 აფიცერი, 118 ათასი ცხენი გადაიყვანა და 15 მილიონი ფუთი საკვები სურსათი გადაიტანა. ამ ჟამად რკინის გზას ყოველ დღე 240 ათასი ფუთი გადააქვს. რომ ეხლა გზაზე ერთი ნახევრად მეტი მატარებელი ატარონ, როგორც გენ. კუროპატკინი თხოულობს, საჭიროა რკინის გზის ლოკომოტივები სულ შეიცვალოს და ახალი, წინანდელზე უფრო დიდი და სუმბუქი ვაგონები აშენდეს. („რ.“).

**იაპონელების სამხედრო რკინის გზები.** „მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონელებმა ხიდის აშენება დაიწყეს მდინარე იალუზე ტიურენჩენთან. როცა სეულიდან იჩუმდე რკინის გზას დაამთავრებენ, ამ ახალ ხიდის შემწეობით მატარებლებს ფუზანიდან (კორეის ბოლოშია იაპონიის ნავთ-სადგურს სიმონოსეკის პირდაპირ) მანჯურიამდე ატარებენ. მაშინ მთელ კორეიაზე ფინხუანჩენამდე და იქნება ლიაოიანამდეც რკინის გზა იმუშავებს. იაპონელები ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზას ყველგან აშენებენ, სადაც კი შესაძლებელია, და ეს რკინის გზები დიდ სამსახურს გაუწევთ მომავალ სამხედრო მოქმედების დროს. იაპონიის ჯარის მარჯვენა ფრთა (გენ. კუროკის არმია), ეტყობა, ძლიერა მაგრდება; იაპონელების ცენტრისა (გენ. ნოძუს არმია) და მარცხენა ფრთას-კი (გენ. ოკუს არმიას) ყოველთვის ადვილად მიაშველებენ ჯარს რკინის გზით პორტ-არტურიდან. („რ.“).

# ახალი ამბავი

◆ 2 იანვარს საღამოთი კავკასის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი **გენერალი მალამა** ბაქოს წავიდა. გენერალს თან ახლავს მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი მაქსიმოვი.

◆ ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების** გამგე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა თავისს წესდების ორ პარაგრაფის, მე-4-ს, 18-ს შეცვლის შესახებ ამნაირად: მეოთხისა—„ნამდვილ წევრად ჩაითვლება ტფილისის გუბერნიის ყველა თავადი და აზნაური (შთამომავლობით), რომელსაც აქვს ხმის უფლება როგორც ყველა კრებისა, ისე არჩევნებზე. წევრად ჩაითვლება იმ დრომდე, ვიდრე თავად-აზნაურობა სწირავს ფულს საზოგადოების სასარგებლოდ“. მე-18-სა: „თუ საზოგადო კრების გადაწყვეტილებით, საზოგადოების არსებობა შესწყდა, მთელი თანხა ამ საზოგადოებისა, აგრეთვე ის ფული, რომელიც შეიძლება აღებულ იქნას იმის ქონების გაყიდვით, გადაეცემა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას; ეს ქონება უნდა მოხმარდეს ტფილისის გუბერნიის მიწათ-მფლობელ და მიწათ-მოქმედ მცხოვრებთა საზოგადო საჭიროებებს“.

◆ გუშინ ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ნება დართოს **ელექტრონის ტრამვაი** აამოძრაოს ერევნის მოედნამდე, ვერის აღმართსა და რიყეზედ დესიმონოვის მოედნამდე. მუშაობა ამ ქუჩებში უკვე დაამთავრა საზოგადოებამ. როგორც გადმოგვცეს, ამ ქუჩებში ელექტრონის ვაგონები ხვალ, 5 იანვრიდან, დაიწყებს სიარულს.

◆ ტფილისის ბაღების გამგე კომისიას აზრადა აქვს, ქალაქის ყველა მიხერხებულ ადგილას **გამართოს ბაღები** და აგრეთვე ერთი დიდი პარკი პოლიციის მე-8 და მე-7 ნაწილებს შუა. პარკის გასამართავად კომისიას დასჭირდება 75,000 მან. სულ ყველა განზრახულ ბაღების მოსაწყობად კომისიას სჭირდება 485,000 მან.

◆ ამიერ-კავკასის რკინის გზის მიმოსვლის უფროსმა 31 დეკემბერს განკარგულება მოახდინა, რომ **ის კონდუქტორები**, რომელნიც დიდიხნის ნამსახურნი არიან და ისინიც, რომელნიც 1900 წ. ადრე შევიდნენ სამსახურში, მოემზადნენ საეგზამენოდ; ტორმუზის კონდუქტორები საქონლისად და საქონლის კონდუქტორები უფროს კონდუქტორებად. გამოცდა დაიწყება 1 მარტიდან და დამთავრდება 15 მარტს.

◆ ტფილისის **საგუბერნიო საპყრობილეში** 1 იანვრისათვის იყო სულ 347 პატიმარი (აქედან 10 დედა-კაცი), მეტეხის ციხეში კი 274. პოლიტიკურ დანაშაულობისათვის დაპატიმრებული იყო 39, ადმინისტრატიულის წესით 5, გადმოსახლებული 56 და სხვ.

◆ მოგვივიდა ახალი რუსული წიგნი: ,,**Тифлисскій сіонскій кафедральный соборъ**'', დეკანოზის მ. ტყემალაძესი. ეს წიგნი შეიცავს სიონის ტაძრის აწერილობას. წიგნში მოთავსებულია 13 მშვენიერი სურათი. სურათები დამზადებულია „ქარ. წიგნ. გამომ. ამხანაგობის“ ცინკოგრაფიაში.

◆ მოგვივიდა საყმაწვილო **ჟურნალის „ჯეჯილის“ პირველი** ნომერი 1905 წლისა. მოგვყავს აქვე შინაარსი:

„მიმკვლევა“,—ლექსი აკაკისა. „ნუცა და ქეთუნა“,—ეკ. გაბაშვილისა, „თხა და მგელი“,—ალ. მირიანაშვილისა, „საახალწლო მილოცვა“,—შ. მღვიმელისა, „ლინეს სიყმაწვილე“,—ეკ. მესხისა, „თევზუნა-ცქვიტუნა—ცქიმურა“,—თარგ. მიქაბერიძისა, წვრილმანი, „საახალწლო“,—ჩოხატაურელისა, „ათი წლის სიმდიდრე“,—თ. რაზიკაშვილისა, „თეიმურაზ მეფის კურთხევა“,—ალ. სარაჯიშვილისა, „ფიზიკური გეოგრაფია პროფესორის გეიკისა“.—სან-ინისა, „ტროადის ომი“,—ალ. ჟუმისთაველისა, წვრილმანი.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის“ სამი გამოცემა. ერთი „პედაგოგიური ფურცელი“ № 1. ამ გამოცემაში მოთავსებულია შემდეგი წერილები: რედაქციისაგან; „ბავშვების ჰიგიენა და იმისი მნიშვნელობა აღზრდის საქმეში“.—ა. ბალარჯიშვილისა; „შინაურ აღზრდის მიზანი და საფუძველი“,—ე. ელიავასი; „პედაგოგიური ქრონიკა“,—ნ. ზ-სი.

მეორე გამოცემა—ჟურნალი მოზრდილთათვის № 2. შინაარსი;

„ჰხედავ, პატარავ“,—ლექსი განდეგილისა, „შობა ღამე“,—სტანიუკოვიჩისა, თარგ. ინ—ანესი, „საყმაწვილო მოგონებანი“,—ს. მგალობლიშვილისა, „რად სცხოვრობდა არწივი მარტოდ—მარტო?“—თარგ. შარაშიძესი, „შემოდგომა“,—ლექსი ვაჟა-ფშაველასი, „საუბარი მცენარეთა ყოფა-ცხოვრებაზე,—ილ. ალხ.-ისა, „პავლე კრიუგერი“, „ქართველები უძველეს

# ფელეტონი

## კანონმდებლობა 1904 წელს

(დასასრული *)

გასულის წლის საკანონმდებლო დადგენილებათა შორის ყველაზე მეტს ინტერესს წარმოადგენს შვიდ ივნისის კანონით შემოღებული ცვლილება იმ საქმეთა წარმოების წესისა, რომელნიც შეიცავენ დანაშაულობას სახელმწიფოს წინააღმდეგ. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, 22 მარტს 1903 წელს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა სისხლის სამართლის დებულება, მაგრამ ამ დებულების მოქმედება გადადებულ იქმნა იმ დრომდე, ვიდრე ამის შესახებ ცალკე ბრძანება არ გამოიცემოდა. 7 ივნისის კანონით სისხლის სამართლის დებულების ის ნაწილი, რომელიც შეეხება სახელმწიფო დამნაშავეებს, ამ ჟამად უკვე მოქმედებს. ამავე კანონით შექმნილია ახალი წესი ამ დამნაშავეთა შესახებ სასამართლოში საქმის წარმოებისა. საქმის წარმოება განიყოფება სამ ნაწილად, ან სამს საფეხურად: გამოძიება (дознаніе), წინამორბედი გამოძიება და წარმოება სასამართლოში. პირველ საფეხურზე საქმის ბატონი ადმინისტრაციაა, რომელსაც თანდათან ეშველება სასამართლოს დაწესებულებები და ბოლოს მთლად სასამართლოს ხელში გადადის. გამოძიებას ახდენს ჟანდარმთა კორპუსის აფიცერი ან, თუ ის არ იქნა ადგილობრივ და საქმე კი საჩქაროა, პოლიციის მოხელე. ყველას არა აქვს უფლება ეს გამოძიება აწარმოვოს, ეს აკრძალული აქვს უბნის ყურის მგდებელს, ურიადნიკს, სასოფლო დარაჯს და საერობო დარაჯს. შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება აქვს, თუ საჭიროდ დაინახა, გამოძიება ჩააბაროს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის საგანგებო საქმეთა მოხელეს; შესაძლოა აგრეთვე უმაღლესის ბრძანებით გამოძიება ჩაებაროს განგებ ამ საქმისთვის დანიშნულს პირს. ნორმალურად და ჩვეულებრივ კი გამოძიებას აწარმოებს ჟანდარმთა კორპუსის აფიცერი ამავე კორპუსის დაბალ მოსამსახურეთა შემწეობით.

ჟანდარმთა აფიცერი ან პოლიციის მოხელე იწყებს გამოძიებას ან საკუთარის ინიციატივით (სურვილით) ან ოლქის სასამართლოს პროკურორის წინადადებით. გამოძიების წარმოებას თვალ-ყურს პროკურორი ადევნებს. გამოძიების მაწარმოებელს უფლება აქვს საქმის გამოსარკვევად მიიღოს ყველა ის ზომა, რომელსაც შეუძლიან მიჰმართოს სამოსამართლო გამომძიებელმა საერთო ხასიათის ბოროტ-მოქმედებათა გამოძიების დროს. საქმის წარმოების ამ საფეხურზე გამომძიებელი ჟანდარმთა აფიცერი თითქმის დამოუკიდებლად და სრულიად თავისუფლად მოქმედებს თუ. ჟანდარმთა კორპუსმა გამოძიების დაწყება საჭიროდ არა სცნო, ამის შესახებ კორპუსის უფროსი მოვალეა აცნობოს პროკურორს, რომელსაც უფლება აქვს წინადადება მისცეს ჟანდარმთა კორპუსს მოახდინოს გამოძიება. პროკურორს შეუძლიან მოსპოს გამოძიება ბრალდებულის სიკვდილის გამო, ხანგრძლივობის ვადის გასვლისა გამო და უმაღლესის ბრძანების ან მანიფესტის ძალით. სხვა შემთხვევებში, ე. ი. თუ ვერ აღმოაჩინეს დამნაშავე, თუ გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა თვით ბოროტ-მოქმედება, ან თუ ვერ შეაგროვეს საკმაო გამამტყუნებელი საბუთები, პროკურორის წინადადებით ჟანდარმთა აფიცერმა უნდა გადასცეს საქმე გადასაწყვეტად საგუბერნიო სათათბიროს, რომელსაც შეადგენენ გუბერნატორი, ოლქის სასამართლოს პროკურორი და ჟანდარმთა კორპუსის უფროსი. ამ სათათბიროს შეუძლიან გადასცეს საქმე პროკურორს საწარმოებლად და კანონიერ მსვლელობის მისაცემად. ამგვარად, საგუბერნიო სათათბირო მოქმედებს, როგორც კამერა სამართალში მიცემისა. ეს გამოძიება, როგორც წარმოების პირველი საფეხური, თავდება იმით, რომ საქმე ოლქის სასამართლოს პროკურორს გადაეცემა.

ოლქის სასამართლოს პროკურორი პალატის პროკურორის თანხმობით ჰნიშნავს წინამორბედ გამოძიებას. პალატის პროკურორს შეუძლიან წინამორბედი გამოძიება საჭიროდ არა სცნოს და პირდაპირ სასამართლოში გადაიტანოს საქმე განსახილველად. წინამორბედს გამოძიებას აწარმოებს დიდ მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, ან იუსტიციის მინისტრის განკარგულებით დიდ მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ან და ერთ-ერთი წევრი სამოსამართლო პალატისა. გამოძიება აქ წინამორბედის გამოძიების ჩვეულებრივის წესით სწარმოებს პროკურორის მეთვალყურეობით და მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ გამომძიებელს პირდაპირ თავის ნებით შეუძლიან გამოითხოვოს გასასინჯად საფოსტო და სატელეგრაფო დაწესებულებებიდან კორესპონდენციები. დამთავრებული გამოძიება უნდა გადაეცეს ოლქის სასამართლოს პროკურორს, რომელიც თავის მხრივ საქმეს პალატის პროკურორს უდგენს. ამით სრულდება წინამორბედი გამოძიება.

სამართალში მიცემა ბრალდებულისა, როგორც განცალკევებული პროცედურა, თითქმის არ არსებობს. თუ პროკურორი შესაძლოდ ვერ სცნობს, ბრალდების სისუსტისა და უსაბუთობისა გამო, საქმის წარმოებას ბრალდებულის წინააღმდეგ სასამართლოში, მოვალეა თავისი აზრი შეიტანოს განსახილველად პალატაში, წინააღმდეგ შემთხვევაში-კი პირდაპირ საბრალმდებელო ოქმს ადგენს და იმას გადასცემს პალატას, რომელმაც საქმე უნდა განიხილოს.

საქმეს განიხილავს სამოსამართლო პალატა, თუ უძლიერესი სასჯელი, ამ ბოროტმოქმედებისთვის, კანონით დანიშნული, გამასწორებელ სახლში დაპატიმრებაზე უმცირესია, და იგივე პალატა წოდებრივ წარმომადგენლებით, თუ სასჯელი გამასწორებელ სახლზე ემძიმება. შესაძლოა აგრეთვე, უმაღლესის ბრძანებით, საქმე გადაეცეს უმართებულესის სენატის განსაკუთრებითს განყოფილებას ან უმაღლესს სისხლის სამართლის სამსაჯულოს. პალატის სხდომა სახელმწიფო დანაშაულობის განსახილველად უნდა შესდგეს ოთხის წევრისაგან და თავმჯდომარე აუცილებლად პალატის უფროსი თავმჯდომარე უნდა იყოს. კავკასიაში პალატა საქმეს წოდებრივ წარმომადგენელთა მოუწვევად განიხილავს. სასამართლოში ბრალდებულს შეუძლიან იყოლიოს დამცველი, მაგრამ ეს დამცველი უთუოდ ნაფიცი ვექილი უნდა იყოს. პალატის დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქმნას სენატში: ბრალდებულს უფლება აქვს საქმის დაბოლოვების შემდეგ შეიტანოს თხოვნა სასჯელის ახდის ან შემსუბუქების შესახებ. ეს თხოვნა პალატამ უნდა განიხილოს, თავისი აზრი გამოსთქვას და იუსტიციის მინისტრის შუამავლობით წარუდგინოს ხელმწიფეს.

ამ წესების შემოღებასთან ერთად დაკანონდა, რომ პასუხის მგებელი რედაქტორი იმ გაზეთისა, რომელიც ცენზურის ნება-რთვით იბეჭდება, სამართალში უნდა იქმნას მიცემული, თუ გაზეთში დაიბეჭდა ისეთი წერილები, რომლებიც შეიცავენ ბოროტ-მოქმედების ნიშნებს.

ეს ახალი კანონი სპობს დღევანდლამდე არსებულს წესს სახელმწიფო დანაშაულობათა შესახებ საქმის გადაწყვეტას უსასამართლოდ, ადმინისტრატიულს დაწესებულებებში. მაგრამ საქმის წარმოება ამ კანონით ისეა დაყენებული, რომ საქმის ბატონად ისევე ჟანდარმთა კორპუსი რჩება. სასამართლოს შეუძლიან იხელმძღვანელოს ჟანდარმთა აფიცრისაგან შედგენილის პროტოკოლით, სასამართლო ზოგჯერ კანონით მოვალეა საქმე ხალხის დაუსწრებლად გაარჩიოს, ზოგჯერ ამისი უფლება აქვს, და იუსტიციის მინისტრს ყოველთვის შეუძლიან ამის შესახებ თავისი განკარგულება მოახდინოს. წინამორბედი გამოძიების მნიშვნელობა თითქმის გაუქმებულია და პროკურორს შეუძლიან ამ გამოძიებას სულ გვერდი აუქციოს და დაკმაყოფილდეს ჟანდარმთა აფიცრის გამოძიებით. საერთოდ რუსეთის კანონებით დღეს ბრალდებულს საკმაოდ გაძნელებული აქვს თავის თავის დაცვა სისხლის სამართლის სასამართლოში, და ახალის კანონით ეს სიძნელე უფრო გაძლიერებულია, თუმცა არც ერთი გვარი საქმე არა ჰსაჭიროებს ისეთს მიუდგომელს, დამოუკიდებელს, თავისუფალს სასამართლოს და ყოველ მხრივად ვითარებათა გამოკვლევას, როგორც საქმე ეგრედ წოდებულ დამნაშავეთა შესახებ.

ვ. რ.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2715.

დროში“,—დ. კარიჭაშვილისა, „ნარევი“ სახალისო სამუშაო და გასართობი.

მესამე გამო.—ჟურნალი მცირე წლოვანთათვის № 4. შინაარსი: „მილოცვა დიდებთან“,—ლექსი შიო მღვიმელისა, „დამეგობრდნენ“,—ნ. ნაკაშიძისა, „მელია“—ლექსი აკაკისა, „საშობაო მოპატიჟე“,—ინ-ანესი, „მაიმუნის დღიური“,—თარგ. თ. ლომაურისა: „ჩხუბის შემდეგ“—ი. ალხ.-სა, ნარევი, სახალისო სამუშაო და გასართობი, პატარა მკითხველების წერილები.

◆ აჯიკაბულის სადგურზე დაიწვა მასალით სავსე საწყობი ნევილლისა და ამხანაგობისა. ეს მასალა იყო დამზადებული ნავთის მილისათვის.

◆ სად. კიშლა. 30 დეკემბერს, როდესაც მატარებელი № 705 მოვიდა სადგურზე, მეისრემ შენიშნა, რომ ერთი პლატფორმა დატვირთული შპალებით იწვის. მაშინათვე მოაშორეს სხვა ვაგონები, როგორც იყო გადმოცალეს შპალები, მაგრამ პლატფორმა მაინც დაიწვა.

◆ სად. ზესტაფონი. 2 იანვარს, ღამის 2 საათზე, მატარებლის № 21 კონდუქტორი გადადიოდა მეორე ლიანდაგზე, ამ დროს მოასწრო სახალხო მატარებელმა № 4, მოჰყვა ორთქლ-მავლის ქვეშ და დაუშავდა თავი და მარცხენა ფეხი. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ სად. ტყიბული. 31 დეკემბერს, შუადღის 3 საათზე, როდესაც ორთქლ-მავალი № 101 მიდიოდა, მესამე ვერსზე ლიანდაგზე მიდიოდა კაცი, რომელიც ორთქლ-მავალ ქვეშ მოჰყვა და იქვე გარდაიცვალა. ვინაობა არ იციან.

◆ სასახლის ქუჩაზე, 2 იანვარს, ღამე შემდეგი ქურდობა მოხდა. მეორე გილდის ვაჭარს სილიბისტრო კვაიჭაძეს სასახლის ქუჩაზე, ქამოევის ეკლესიის სახლში, ტანისამოსებისა და ძვირფას ქსოვილების მაღაზია აქვს. აღნიშნულ ღამეს ქურდები ეკლესიის ეზოდან შეპარულან მაღაზიის ქვეშ სარდაფში, იქ კიბე მიუდგამთ, იატაკი გამოუჭრიათ და მაღაზიაში ამძვრალან. როგორც ეტყობა, ქურდებს დაწვრილებით სცოდნიათ მაღაზიის ამბავი, ფული სად იყო შენახული და სხვა. მაღაზიიდან წაუღიათ ფარჩეულობა 1000 მანეთისა, ბეწვეულობა 270 მ., შემდეგ მაღაზიის მეორე განყოფილებიდან გასულან ერთ პატარა ოთახში, სადაც რკინის შკაფში ყოფილა ფული. ქურდები შესდგომიან შკაფის მტვრევას და ორივე გვერდი ერთი არშინის სივრცეზე ლომებითა და რკინის სამტვრევ იარაღებით გამოუმტვრევიათ. ქურდებს შკაფიდან ამოუღიათ ფულად 2225 მანეთი და ამ რიგად რაც კი ფასოვანი მოუხელებიათ, შეუკრავთ, ისევ სარდაფში ჩამძვრალან და გადამალულან. ქურდებს მაღაზიაში დარჩენიათ მხოლოდ ერთი რკინის კეტი. ქურდების ვინაობა ჯერ არ არის გამორკვეული, მაგრამ, ეტყობა, რომ მაღაზიასთან ძალიან დაახლოვებული უნდა იყვნენ. ქუჩიდან მაღაზიის იმ ადგილამდე, სადაც ამოჭრილია იატაკი, სულ ორი საჟენი თუ იქნება და შეუძლებელია ხმაურობა ქუჩაში კაცს ვერ გაეგონა. რკინის შკაფი ისე არის გამომტვრეული, რომ ქურდებს დიდხანს უნდა ერტყათ ლომი, რაც აგრეთვე ადვილად შეეძლოთ იქვე ეზოში, სახელოსნოში, მძინარე სამს მოსამსახურეს გაეგო. გარდა ამისა ეკლესიის ეზოში ორი მეეზოვეა, ერთი თვით მაღაზიის პატრონისა, მეორე ეკლესიისა. საკვირველია, რომ ასეთ გარემოებაში და ასეთ ადგილს, როგორც სასახლის ქუჩაა, ქურდები ახერხებენ მაღაზიების მტვრევას ასე აშკარად და თავხედურად. პოლიციამ დააპატიმრა ორი მეეზოვე და სახელოსნოს ორი მსახური.

◆ ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს თხოვნით, ამას წინად ქალაქის გამგეობამ დუნიტიანცის სახლი დაუთმო 25 ჟანდარმს საცხოვრებლად. რადგან კომისიის შემოწმებით ეს სახლი ცუდი გამოდგა, სამმართველო განმეორებით სთხოვს გამგეობას, უსათუოდ მოუხერხოს კარგი ბინები ჟანდარმებს.

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიას, გადაეხადა დანახარჯ წყალში კუთვნილი ფული. კანცელარიამ გუშინ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ იგი არ გადაიხდის წყლის ფულს, რადგან ერივეს სახლი, სადაც კანცელარიაა მოთავსებული, წყლით აქვს დაქირავებული.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, ირაკლის ქუჩაზე, სიონის ტაძრის სახლში, დეკანოზ მ. ტყემალაძეს პატარა ვაჟი 2 იანვარს მეორე სართულში ფანჯარასთან თამაშობდა თურმე. ბავშვს ფანჯარა გაუტყდა, ძირს გადმოვარდა და ძლიერ დაშავდა.

◆ ქალაქის ქუჩებში მაწანწალა ძაღლების მჭერელმა შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ ძაღლების ჭერას იგი შეუდგება 15 იანვრამდე ამ რიგად: პოლიციის მე-10 ნაწილში—7 და 8 იანვარს, მე-9—10 და 11, მე-8 ნაწილში 12 და 13, ხოლო მე-8 ნაწილში—14 და 15 იანვარს.

◆ ტფილისის სააუქციო ზალის გამგეს ანგარიშებიდან სჩანს, 1904 წლის განმავლობაში გაიყიდა საჯარო ვაჭრობით 38,886 მან. და 33 კაპ. საქონელი· აქედან სარგებელი დარჩა 2,328 მან. 3 კაპ. ქალაქის კასაში შეტანილ იქმნა 1,550 მან. 31 კაპ. დეფიციტი წასულ წელს ზალას ქონდა 421 მან. და 19 კაპეიკამდე.

◆ სტავროპოლის სახაზინო პალატამ აცნობა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ შარშან ტფილისის მცხოვრები დ. ზ. სარაჯიშვილი, როგორც გამგეობის მოიჯარადრე, ყიდულობდა საკლავ საქონელს სამრეწველო მოწმობის აუღებლად; ამიტომ პალატა სთხოვს ტფილისის გამგეობას ანგარიშების გასწორების დროს სარაჯიშვილს დაუკავოს სამრეწველო გადასახადი ქალაქისა და ერობის სასარგებლოდ.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, სურფსარქისის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში მცხოვრებს ნინო გულიევისას შაბათს, 1 იანვარს, ღამის 11 საათზედ, წაჩხუბებია ტფილისის მცხოვრები არშაკ გასპაროვი და დანით რამდენჯერმე მძიმედ დაუჭრია. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. დამნაშავე დაიმალა.

◆ მადათოვის კუნძულზედ, 1 იანვარს, დილის 12 საათზედ, ქურდებს გაუტეხიათ ბედროსა ბრუდიტიონის ბინა და გაუტანიათ ფულად 80 მანეთი და სხვა ნივთები, სულ 150 მან. ქურდები აღმოჩნდნენ გაბრიელ ბექაური და იორდანე კენტური.

◆ 2 იანვარს ბარიათინსკისა და ბაზრის ქუჩის შესართავთან პოლიციელებმა დააპატიმრეს რაჭის მაზრის სოფ. ლეხეთის მცხოვრები პორფირე ლომჯანიძე, რომელსაც სადღაც ნივთები მოეპარა და მიჰქონდა. ქურდი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

◆ გოლოვინის პროსპექტზედ, „საარტისტო საზოგადოების“ სახლის პირდაპირ მდივნის სახლში 2 იანვარს ღამე გაუტეხიათ იაკობ დანდუროვის მაღაზია და გაუტანიათ ფულად 20 მანეთი და 80 მანეთად ღირებული კოვზები და დანა-ჩანგალი.

# პრესსა

„ნოვოე ვრემია“-ს 27 დეკემბრის ნომერში მეთაურია დაბეჭდილი სათაურით—„შესაძლებელია თუ არა ზავი“? როგორც მოსალოდნელი იყო პატრიოტ გაზეთისაგან, ძალიან გულნატკენია იმითი, რომ ბევრი დაწინაურებული დაწესებულებანი, პირები და გაზეთები ომის შეწყვეტას თხოულობენ.

> პორტ-არტურის აღებამ, არ ვიცით რისთვის, გამოიწვია ხმა ზავის ჩამოგდებაზე. ჩვენ სრულიად ვერ წარმოგვიდგენია, რა ლოღიკური კავშირია ასეთ მიზეზსა და ასეთ შედეგს შორის. ზავზე რომ ლაპარაკი დაეწყოთ რუსების ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ეს ბუნებრივიც და ადვილად გასაგებიც გვეჩვენებოდა. ახალ დამარცხებას კი, ჩვენის აზრით, შეუძლია მხოლოდ გაცუდება და არ განკარგება ახლო ზავის შანსებისა. სანამ ჩვენ რამდენიმე დიდის გამარჯვებით შეძლება არ გვექნება ვუკარნახოთ იაპონელებს ზავის პირობები როგორი საპატიო პირობებიც არ უნდა წარმოგვიდგინონ, ეს იქნება ხელშეკრულება დამარცხებულ რუსეთსა და გამარჯვებულ იაპონიას შუა.

ეს კი ყოვლად შეუძლებელია რუსეთის სახელისათვის.

წინად ამავე გაზეთს უფრო უცნაურად ჰქონდა გამოთქმული:

> ისტორიას თავისი ანგარიში აქვს, რომელიც წინააღმდეგია მათემატიკის ყველა კანონებისა, და ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია კომერციულად დავმარცხდეთ, გამოვილიოთ ძალ-ღონე, ვიდრე ეხლავე დავსთანხმდეთ ზავზე... მართლაც პირველ შემთხვევაში ჩვენ დავკარგავდით მხოლოდ იმას, რის შეძენაც შეიძლება: ჯარს, ფულს და მიწას, მეორე შემთხვევაში კი საბოლოოდ დავკარგავდით ზნეობრივ კაპიტალს...

„ნაშა ჟიზნ“-ი ამაზე შენიშნავს ახირებულ პატრიოტ გაზეთს:

> ამგვარია „ნოვოე ვრემია“-ს კომერცია. დიახ, ამ დუქანში ჰყიდიან ხალხის კეთილდღეობასა და ადამიანის სიცოცხლეს, ადამიანის სიცოცხლე, „ნოვო-ვრემენელების“ შეხედულებით, შესაძენი რამ ყოფილა, იქნება ნაკლებად ღირებული, ვიდრე ის შაურიანები, რომელიც მათ შემოსდით. სამაგიეროდ იგი იცავს „ზნეობრივ კაპიტალს“. კონტექსტს თუ დავაკვირდებით, ეს ზნეობრივი კაპიტალი უნდა იყოს სულ ახალ-ახალი დამარცხებანი იმ დრომდე, სანამ „გამოვილევთ ყოველ ადამიანურ ძალ-ღონეს და ქვეყანაც საბოლოოდ „დაიმსხვრევა“.

⁂

„ნოვოსტი დნია“-ს თანამშრომელი პეკი წარსულსა და ეხლანდელ დღესასწაულებს ადარებს და ამბობს, რომ დიდი მანძილი გაგვივლია ამ ერთის წლის განმავლობაში.

> წინად ოცსა და მეტ წელსაც არ შემოუტანია ჩვენ ცხოვრებაში იმდენი ცვლილება, რამდენიც ამ საშინელმა 1894 წელმა... წარმოიდგინეთ, წარსულ წელს ამ დროს (28 დეკემბერსაა დაწერილი) არავინაც არ ჰფიქრობდა პორტ-არტურზე. დღეს კი სხვაზე ვინ რას ჰფიქრობს? წარსულ წლის ბოლოს უზრუნველად და ზარმაცად ვუახლოვდებოდით. არ გვჯეროდა ომის დაწყება და არც რეფორმებს ველოდით. ამ წლის ბოლოს კი კარგა წამოზრდილები ვუახლოვდებით: გულნატკენები და გულდამძიმებულები, მაგრამ თან უკეთესს მომავლის იმედებით.

მაგრამ ერთი რამ მაინც არ ასვენებს ავტორს.

> წელს უზრუნველობით კი არა, სევდით ველით, როგორ დატრიალდება საქმე შახეზე... რა მოხდება?
>
> კილო ხომ დეპეშებისა გვაგონებს შარშანდელ უზრუნველობას. გაზეთებში დიდი ქებაა მიწურებისა: სამეფო სადგომებია და არა მიწურები—თბილია, მშრალია და ყველგან შობის ხეებია გამართული. შურს კიდეც ზოგიერთებს, ვისაც მაინცა და მაინც თბილი ბინა არა აქვს: კარგი იქნებოდა, მეც მიწურში მოვხვდებოდეო.
>
> არ ვიცი, სხვაზედ როგორ მოქმედებს მიწურების ასეთი ქება-დიდება და ეს შობის ხეები, მაგრამ მე კი ნერვებს მიშლის. მზადა ვარ გმირებად მივიჩნიო ჩვენი ჯარის კაცები, მაგრამ დღეს, ხვალ სულ მიწურების მდიდრულ მოწყობილებაზე მელაპარაკებიან და ვიწყებ ფიქრს, რომ იქ შახეზე ხალხი მშვენიერად ატარებს დროს: მშვენიერად სჭამენ, მშვენიერად სძინავთ, სანიტარული მდგომარეობა შესანიშნავია და თან არაფერსაც არ აკეთებენ გარდა იმისა, რომ შობის ხეს გაიმართავენ.
>
> ეს ის კილოა, რომელიც შარშან იყო გამეფებული. წარსულმა წელმა ნახევარი საუკუნით წაგვწია წინ, თვალები აგვიხილა, გაგვზარდა. და ვინ უნდა მიაძინონ ზღაპრებით სასახლე მიწურებზე, სადაც მაძღრად და კმაყოფილად სცხოვრობენ? ან რა სარგებლობას მოელიან აქედან?
>
> იმ სარგებლობას ხომ არა, რომელიც გამოვცადეთ, როცა აგვიწერდნენ პორტ-არტურის მიუვალობას და იაპონელების უძლურებას, იმ იაპონელებისას, რომელიც ნახევარ დღის სიარულის შემდეგ ვითომ მკვდრებივით ეცემოდნენ.

## პატარა ფელეტონი

### სამეგრელოდან

ჩვენისთანა უბედური ხალხი, მგონია, მეორე არ მოიპოვებოდეს ცის ქვეშეთს! ისიც არა კმარა ჩვენთვის, რომ ყოველი ვიგინდარა ჩვენის ცხოვრების აბუჩად ამგდები და ფეხ-ქვეშ მთელელია ჩვენდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ. არა, ამას არ ვკმარობთ! იმის მაგიერ, რომ ამისთანა ვაჟბატონთ სკადრისი პასუხი გავცეთ და ავლაგმოთ, ჩვენ თვითონვე ხელს ვუწყობთ და საშუალებას ვაძლევთ თავიანთ უწმინდურ გულის წადილნი და მისწრაფებანი სისრულეში მოიყვანონ. კიდევ მესმის, როცა ანგარებითა და ზიზილ პიპილების სიყვარულით გატაცებულნი, ჩვენივე ქვეყნის შვილნი, ჩვენს დაუძინებელ მტერთ ხელს უმართავენ და მოყვარეთ კი, თუ ვინმემ რამე გაჰბედა, ხელს უცრავენ. ამ შემთხვევაში, პოეტისა არ იყოს, „კუჭი გრძნობს და კუჭი ფიქრობს“. ამ შემთხვევაში სულით მდაბალნი და გულით მახინჯნი პირად სარგებლობას სწირავენ საზოგადო საქმეს.

გარნა რითი და როგორ იმართლოს კაცმა თავი იქ, სადაც ამისთანა სულით მდაბალნი არსებანი იუდა ისკარიოტობენ და არავითარს სარგებლობასა და დაწინაურებას არ გამოელიან თავის გამცემლობისაგან! ნუ თუ მარტო უფროსის, ბატონის ერთს ღიმილში ჰყიდის თავის ეროვნულს საქმეს? კიდევ ადვილი ასახსნელია, როცა რომელიმე უვიცი სოფლის მასწავლებელი ორსართულიან კაკარდასა და რაღაცა თვიურს გროშებზე ჰყიდის ჩვენს წმიდათა წმიდას: მისი მისწრაფებანი ლითონის ამ ბრწყინვალე ნაჭერს არ გასცილდება! მაგრამ რითი და როგორ ავხსნათ, როცა იმისთანა კაცი, რომელსაც ან ცხოვრებაში არავითარი წარმატება და განდიდება არ მოელის, არამკითხე მოამბედ წამომდგარა და, აქაო და უფროსს ვაამოვო, ამბობს: ესა და ეს სკოლა უნდა დაიხუროს, რადგან აქ სახელმწიფო ენა ვერ არის კარგად დაყენებულიო? ნეტა მაინც შეეძლოს დაფასება იმისა, რის შესახებაც ასე მედგრად მსჯელობს! ამ ვაჟბატონის ლოღიკას რომ გავყვეთ, თვითონაც უნდა ადიგავოს პირისაგან დედამიწისა, რადგან... ამ ენაში თვითონაც ძლიერ უკაცრავადა ბრძანდება.

ავსა კაცსა ავი სიტყვა
ურჩევნიან სულსა, გულსა!

მაშინ, როდესაც მთელი სამეგრელო დიდიან პატარიანად, ერიან-ბერიანად წამომდგარა და ხმა მაღლა უშიშრად დაიძახებს: ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენ იმ ცოტნე დადიანებისა და ქუჯების შთამომავალნი ვართ, რომელთაც თავიანთი თავი საერთო სამშობლოს—საქართველოს შესწირეს, და მათსავით ჩვენც გულში გვისვენია ხატად და ჯვრად საერთო სამშობლო—საქართველო. და ტყუილად ნუ ფიქრობენ წვრილმეტა პოლიტიკანები, როდისმე გულიდან ამოგვგლიჯონო,—აი ამ დროს წამომდგარან და იძახიან: ესა და ეს სკოლა უნდა დაიხუროს, რადგან ვერ უჩვენებენ მოსწავლენი ამ „პროცესს“ ნათლად, თუ „ვითარ ქათმმა კვერცხი შვაო“.

მაგრამ, მკითხველო, ამ ვაჟბატონისა და მრავალთა მის მსგავსთა გამრავლებაში ჩვენც წილი გვიდევს: ისინი რომ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყოველი პატიოსანი ქართველი ამისთანა ქცევისათვის მათ ზიზღით შეჰხედავს, მაშინ ვეღარ გაბედავდნენ ამას, საჯაროდ მაინც. არა, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ, მაგალითად, მეც, ამ სტრიქონების დამწერი, დიდის ხალისით ხელს ჩამოვართმევ, თუ კი გამომიწოდა,—მე თუ არა, შენ, ის, მეოთხე და მეხუთე. და ქება და დიდება იმათ, რომელნიც ამისთანა ვაჟბატონთ სკადრისს პასუხს აძლევენ იმის მიუხედავად, რომ იქ ბრძანებულ პოლიტიკანებს მოეწონება ესა, თუ არა. შეიძლება შენიშვნა მომცეთ, რომ ასეთი მოქცევა ყველა პატიოსან კაცის მოვალეობაათ. მართალია, მაგრამ რა ვქნა, რომ ისე დავცემულვართ, „ყოვლად მუნჯად, ყოვლად უტყვად“ გადავქცეულვართ, რომ უმეტესობა ჩვენგანი მხოლოდ იმისათვის ამოძრავებს ენას, რათა თავისს ეროვნებას საფლავი გაუთხაროს, და აი ამიტომ ვბედავ ამისთანა მცირე სამსახურისათვის კიდევ მადლობა გამოვუცხადო იმ პატიოსან ქართველს!

* *

თუ როგორ ყველა გამვლელი და გამომვლელი ჩვენზე ბატონობს და მბრძანებლობს, ეს შემდეგის თავის-თავად მცირე, გარნა დიდ-მნიშვნელოვან ფაქტიდან კარგადა სჩანს. მიემგზავრება რამდენიმე პედაგოგი ბავშვებიანათ საექსკურსიოთ ჩრდილოეთისაკენ, მათ თან ახლავს, ვითარცა „ამხანაგი“, ერთი „იზიც“. ეს ვაჟბატონი მეტის მეტი ყურმახვილი და ბრძანების ერთგული აღმასრულებელი გამოდგა. მისდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, გზაზედ, ისევ საქართველოშივე, ერთმა ქართველმა პედაგოგმა მეორეს „ქართულად“ უთხრა, პური ვიყიდოთო! მარტო ეს ორი სიტყვა კმაროდა, რომ ჩვენი „იზიც“ მოთმინებიდან გამოსულიყო და ბრძანების კილოთი ეთქვა: როგორ თუ ჩემთან თქვენ გაბედეთ და ქართულად ილაპარაკეთ! მაშ, მე რის მაქნისი ვარ, თუ თქვენ თავისუფლად ილაპარაკეთ სამშობლო ენაზე! ელექტრონი ჩემდა სასამსახუროდ მზადაა, ფულიც ჯიბეში მიწყვია და ეხლავე მოვახსენებ მთავრობას. „Я повторяю Вамъ: мнѣ приказано за Вами слѣдить и о каждомъ Вашемъ поступкѣ доносить по начальству!“-ო. არ ვიცი, რას მივაწერო: იმას თუ, რომ ხან-და-ხან რაც უნდა უტვად იყოს აღზრდილი, მაინც იღვიძებს ადამიანობა კაცში და მედგრად იცავს თავის უფლებას, თუ იმას, რომ ეს პირნი არ ეკუთვნოდნენ მხდალთა და ლაჩართა წრესა—ნეტა ეს უკანასკნელი აზრი გამართლებულიყოს! —მასწავლებელთ თავიანთი უფლებანი ღირსეულად დაიცვეს, და ბატონი ახალ-მოდის „ცენზორი“ დროებით მაინც ალაგმულ იქმნა. გზაში თუმცა დუმდა, მაგრამ რომ დაბრუნდა შინ, ისევ ისე პირნათლად ასრულებს თავის „მოვალეობას“. უნდა თავის თვალით ნახოთ, მკითხველო, ეს ვაჟბატონი ამ დროს, რომ დასტკბეთ მისი სახის გამომეტყველებით, რომელიც ამბობს: აჰა, როგორ პირნათლად ვასრულებ ჩემს საქმეს და მე რომ არ ვიყო, უზარმაზარ სახელმწიფოს ჩარხი უკუღმა დატრიალდებოდაო!

ნეტა ამაზედ რას იტყვის „С. П. В.“-ების ცნობილი „გრუზინი“, რომელიც ამტკიცებდა—„никакихъ притѣсненій не испытывалъ“-ო. ამახსენით ბატონო „Грузинъ“-ო: მოწაფეებს—ჰო, მაგრამ მასწავლებლებს რისთვის უკრძალავენ დედა-ენაზე ლაპარაკს?—ისევ ამ ქართველ პედაგოგებს დავუბრუნდები,—ამათ თურმე არც კი სჭირიათ ბრძანების განმეორება, ზოგიერთებს მაინც: თავიანთი ფარ-ხმალი მაგრად ჩაუკეტავთ განჯინებში და უტყვად ასრულებენ ერთხელ ნაბრძანებს განკარგულებას! თქვე დალოცვილებო, ზემო ნახსენებ მოგზაურ პედაგოგებს მაინც მიბაძეთ! ხომ გაგიგონიათ ხალხური სიბრძნე:

ვაჟკაცსა გული რკინისა,
ხანჯალი უნდა ხისაო!

და სწორედ ეს რკინის გული გვაკლია!

* *

ხოლო როგორ იმართლებს თავს ის ქართველი, რომელთანაც „მუნჯურ“ მეთოდის შესასწავლად ორენბურგიდან თუ ყაზანიდან პედაგოგებს უგზავნიან, კარგათ გაწვრთნე და გაზარდე მაგ მეთოდშიო! ქართველებმა და ქართულმა ენამ შეიძლება რამე დაუშავეს და თავი შეაძულეს ამ ვაჟბატონს, ხოლო ყაზანელ თათრებმა, ანუ ასტრახანელ კალმიკებმა თუ ბაშკირებმა რითი დაიმსახურეს მისი ესდენ ყურადღება?!

ეს ვაჟბატონი კიდევ გამოდის საჯაროდ და ამბობს: ამ ფერად-ფერადად მორთულ მკერდს ქვეშ ნამდვილი ქართული გული მიცემსო! ნეტა იმისთანა ქართულ გულს! ქართულის რა მოგახსენოთ: და ნამდვილი სკვითური გული კი უცემს.

გული კრულია კაცისა,
ხარბი და გაუძღომელი.

მეთვალყურე.

# რუსეთის ქრონიკა

◆ მინისტრთა კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე წევრთა უმრავლესობა იმ დასკვნას დაადგა, რომ კანონის სრული ძალის დასაცველად საჭიროა, რომ ყველა ზომებს, რომელთაც დროებითი კანონების ხასიათი აქვთ, სახელმწიფო საბჭო ამტკიცებდეს, რათა ყველა დაწესებულებებმა და მოხელეებმა სავალდებულოდ მიიჩნიონ ამ ზომების დაცვა და დაურღვევლობაო.

განსაკუთრებული კომისიები, რომელთაც უნდა შეიმუშაონ უმაღლეს ბრძანებაში აღნიშნული ზოგიერთი საკითხები, მინისტრთა კომიტეტის მიერ შემუშავებულ და უმაღლესად დამტკიცებულ პროგრამმას დაადგებიან. თავის ნაშრომს შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წარუდგენენ დასამტკიცებლად.

◆ 27 დეკემბერს პეტერბურგში მოხდა საგანგებო კრება სხვა-და-სხვა ქარხნების მუშებისა იმ ზომებით გამოწვეული, რომ ქარხნებში ადმინისტრაციამ დაითხოვა ის მუშები, რომელნიც მონაწილეობას იღებენ მუშათა სხვა-და-სხვა კავშირებში. კრებაზე სავსებით გამოირკვა, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან დღეს რუსეთში მუშები. ბოლოს კრება შემდეგ დასკვნას დაადგა: 1) მოსთხოვონ ერთ ქარხნის ადმინისტრაციას, რომელიც განსაკუთრებით გულმოდგინედ სდევნიდა მუშებს, დაითხოვოს უფროსი ოსტატი, მუშების დაუძინებელი მტერი; 2) გამოუცხადონ ქარხნების ადმინისტრაციას, ენერგიულად ეცადნენ შემდეგშიაც არ განმეორდეს ამგვარი მოვლენანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, უეჭველად მოხდება ქარხნებში არეულობა და უწესოებანიო. „რუსკ. ვედ.“-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ მუშათა კრების წარმომადგენელნი გრადონაჩალნიკთან იყვნენ, რომელმაც თავაზიანად მიიღო ისინი და დაჰპირდა, ყოველ ღონისძიებას ვიხმარ ქარხნებში წესიერების დასაცველადაო.

◆ პეტერბურგის განაპირა ადგილების ვექილთა საზოგადო კრებაზე ბჭობა იყო იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა მოეწყოს იურიდიული დახმარება უღარიბეს მცხოვრებთათვის. კრება იმ აზრს დაადგა, რომ ამნაირი დახმარების განხორციელება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა თვით მცხოვრებელნი მიიღებენ მონაწილეობას საკონსულტაციო (იურიდიული რჩევა) ბიუროების დაარსებაში, ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფო წეს-წყობილების ძირითადი რეფორმა და ყველასთვის ადამიანურ უფლების მინიჭებაო.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაანთავისუფლეს პოლიციის ზედამხედველობისაგან და დაბრუნების ნება მისცეს ვლადიმირის საგუბერნიო ერობის მოხელეებს ტიხომიროვსა და დუბროვსკის, რომელნიც ჩრდილოეთის მუშათა კავშირში მონაწილეობისათვის იყვნენ დასჯილნი.

◆ ქ. ბელოსტოკიდან სწერენ „ნ. ჟ.“-ს, რომ ადგილობრივმა ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა არ დაემორჩილოს ადმინისტრაციის იმ მოთხოვნილებათ, რომელნიც ეწინააღმდეგებიან მცხოვრებელთა ინტერესებს. ბელოსტოკის პოლიცმეისტრად ნამყოფს მეტლენკოს, მეტად გულ-მოდგინე მოხელეს, დიდი შფოთი და უკმაყოფილება აღუძრავს მცხოვრებელთა შორის თავხედური ქცევით. იგი არა-კეთილსაიმედობას სწამებდა და მრავლად ატუსაღებდა თურმე ხალხს სულ უმიზეზოდ. დატუსაღებულთ მალე ისევ ანთავისუფლებდნენ, მაგრამ პოლიცმეისტერი მაინც არ ცხრებოდა და ხელ-ახლად სხვებზე მიჰქონდა იერიში.

◆ ფინანსთა სამინისტრომ გასულ წელს მიმართა რუსეთის ყველა საბირჟო კომიტეტს შეკითხვით იმის შესახებ, თუ რანაირად შეიძლება განწესრიგდეს სავაჭროებში მოსამსახურეთა მუშაობა და როგორ დაეტყობა ვაჭრობას სამუშაო დროს შემოკლებაო. საბირჟო კომიტეტებმა თითქმის ერთხმად უპასუხეს სამინისტროს, რომ დღეს სავაჭროებში მოსამსახურენი მეტად შევიწროებულნი არიან, ზოგიერთ ქალაქებში დღეში 16—20 საათს მუშაობენ და უეჭველად საჭიროა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაო: დღეში 11—12 საათზე მეტი არ ამუშავონ, (აქ ჩათვლილია 1½ საათი სადილობის დრო) უნდა მიენიჭოს ქალაქის თვითმართველობათ უფლება, თუ საჭიროდ დაინახავენ, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, კიდევ უფრო შეამცირონ სამუშაო დრო. სამინისტრო 1901 წელს შეუდგა ამ საკითხის გამორკვევას, მაგრამ დღემდის არაფერი წინსვლა არ დასტყობია ამ საქმეს.

◆ ვლადივოსტოკიდან სწერენ გაზ. „ნ. ვ.“-ს, რომ იქ 20 ნოემბერს ადგილობრივ საზოგადოების კრება მოხდა, რომელსაც ბლომად დაესწრო ხალხი. ბევრი სიტყვა წარმოითქვა საამდროო საზოგადო საკითხების შესახებ. სასამართლოს მოხელეებიც დასწრებიან კრებას და ამ ბოლო დროს შემდეგი მოწერილობა მოსვლიათ იუსტიციის სამინისტროსაგან; პოლიციამ საიდუმლოდ შეკრებილი ესა და ეს ცნობები გადმოგვცა კრებაში თქვენი მონაწილეობის შესახებ და გთხოვთ განმარტოთ ეს საქმეო.

◆ „ნაშ. დნ.“-ს აუწყებენ როსტოვიდან, რომ იქ 5 დეკემბერს მომხდარ კრების ზოგიერთი მონაწილენი პასუხის გებაში მისცეს ხელმწიფის შეურაცხყოფისა და სახელმწიფო დაწესებულებაში მთავრობის წინააღმდეგ სიტყვების წარმოთქმისათვის. სადგურ ტიხორეცკაიაზე დაატუსაღეს ეკატერინოდარში მომხდარ კრების ერთი მონაწილეთაგანი. როსტოვში მეორე კრება უნდა მომხდარიყო, მაგრამ, დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ვერ შესდგა.

◆ 18 დეკემბერს მოსკოვში მოხდა იურიდიულ საზოგადოების კრება პროფესსორის გრედესკულის თავმჯდომარეობით. კრებას მრავალი ხალხი დაესწრო. ცნობილმა საერობო მოღვაწემ დესინტავმა სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ რამდენი განათლებული, სახელოვანი მოღვაწე იმსხვერპლა დღევანდელმა წესწყობილებამ და რა აუტანელი ბორკილი დაადვა რუსეთის საზოგადოებას გაძლიერებულ დაცვის დებულებამ. მოსკოვის ოლქის სასამართლოს წევრმა მიკლაშევსკიმ სთქვა, იმედი არ უნდა

გვქონდეს იმ რეფორმებისა, რომელთა განხორციელებას ბიუროკრატიას, მოხელეებს მიანდობენო. ნაფიცმა ვექილებმა კულიკოვმა და გონტარიოვმა მხარი მისცეს ორატორს და სთქვეს, ბიუროკრატია განახორციელებს კი არა, ძირს ამოუთხრის ყველა რეფორმებსო. ბოლოს თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, რომ დღეს ყველაზე უფრო საჭიროა საზოგადოებამ გულ-ახდილად, გაბედულად და ხმა-მაღლად სთქვას თავისი გულის ნადები. ჩვენ თანაგრძნობა უნდა გამოუცხადოთ ერობების ცნობილ დადგენილებათაო. კრებამ ერთხმად მიიღო გრედესკულის წინადადება.

◆ ნიჟნი-ნოვგოროდის სხვა-და-სხვა საზოგადოებებმა ადრესი შეადგინეს მოსკოვის უნივერსიტეტის იუბილეის აღსანიშნავად, რომელშიაც ის აზრი გამოთქვეს, რომ ამ უძველეს უნივერსიტეტის წარმომადგენელმა პროფესსორებმა მხარი უნდა მისცენ დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობას და ხმა-მაღლად უნდა მოითხოვონ განძევებულ პროფესსორების დაბრუნებაო.

◆ გაზ. „ს. პ. ვ.“-ს სწერს, რომ სევასტოპოლის სამხედრო ხასამართლო ამ მოკლე ხანში გაარჩევს საქმეს ფლოტის 35 მატროსის შესახებ, რომელთაც ყაზარმებში უწესოების მოხდენა ბრალდებათ. არეულობაში რამდენიმე ასს მატროსს მიუღია მონაწილეობა და იმათ დასამშვიდებლად ჯარი იქნა გამოწვეული. ფიქრობენ, რომ ბრალდებულთ მეტად სასტიკი სასჯელი მოელით.

◆ მთავრობამ, როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, აუკრძალა პეტერბურგის სამეცნიერო საზოგადოებათ უნივერსიტეტში საჯარო კრებების გამართვა. რუსეთის გაზეთები იწერებიან, რომ ამ განკარგულებას ძლიერ აუღელვებია პროფესსორები და გადაუწყვეტიათ კრებები სხვა შენობაში გამართონ ხოლმე.

◆ სოფლის საჭიროებათა გამომრკვევმა განსაკუთრებულმა საკრებულომ ის აზრი გამოსთქვა საგლეხო რეფორმის შესახებ, რომ საჭიროა გლეხებს სხვა წოდებებთან თანასწორი უფლებანი მიენიჭოსო. საკრებულოს მიერ შემუშავებული საკითხი შემდეგ მინისტრთა კომიტეტს გადაეცემა განსახილველად.

◆ რიგაში, [illegible] „რიჟ. ვ.“-ის [illegible], ლანგეს ქარხნის გაფიცული მუშები ამ ჟამად დემონსტრაციებს მართავენ ქუჩებში. ჰაგენსბერგიდან იუწყებიან, რომ იქ ამ ბოლო დროს უწესოება მომხდარა, 300 კაცისაგან შემდგარი ბრბო გაუდგა ქუჩა-ქუჩა აფრიალებულ დროშით, ყვირილითა და სტვენით. ბრბო ქარხნებთან მივიდა, რათა იქ მომუშავე ხალხი მოემხრო და უნდოდა შეემტვრია დაკეტილი ალაყაფის კარები. გამოწვეულ იქმნა პოლიციელთა რაზმი, რომელმაც გაჰფანტა ხალხი. ხალხი შემდეგ სხვა ქარხნებთან შეიკრიბა, მაგრამ აქაც გაფანტულ იქმნა.

## წერილები

**ქიზიყი.** მოგეხსენებათ, წლეულს იმერეთი დაიმშა და მომეტებული ნაწილი მცხოვრებთა სხვაგან წავიდა ლუკმა-პურის საშოვნელად. მეც, ერთმა იმათგანმა, დავაპირე კახეთში წასვლა და, როგორც ხურომ, ვიფიქრე: „კახეთში სამუშაოს ბევრს ვიშოვნი, ცოტაოდენ ფულს შევაგროვებ და ჩემს „კრუხ-ჭუჭულას“ გამოვკვებავ-მეთქი“. გამოვეთხოვე ცოლშვილს და წამოვედი. ექვსი დღის შემდეგ თავი ამოვყავ სიღნაღში. აქ ორი დღე ვიარე, სამუშაოს ვკითხულობდი, მაგრამ, თქვენ არ მომიკვდეთ, ყური არავინ მათხოვა. რომ შიმშილით არ გამოვსალმებოდი წუთი-სოფელს, დავაპირე ქიზიყის სოფლებში გავლა. გამოვბრუნდი სიღნაღიდან, გადმოვიარე ფერდობი, ჩავირბინე კორწოხი და, როგორც მითხრეს იქაურებმა, ჩავედი ბოდბისხევში. შუა სოფელში რომ მოვედი, დუქნები დავინახე და პურის საჭმელად შევბრუნდი. იქვე გლეხები შეგროვილიყვნენ და გაჰქონდათ ერთი ყატყატი. ერთი ამბობდა: წუხელ ვანკას კამეჩები მოჰპარესო, მეორე—იმ დღეს საბძელი და სათივეები დაუწვეს ქიტასაო, მესამე—გზირმა დამარბია, რატომ ფოშტი ფული არ შემოიტანეო, და სხვა ამისთანეები. პურის ჭამა რომ გავათავე, ერთ გლეხს ვკითხე: „სამუშაო ხომ არ იცი მეთქი?“ არც აიღო და არც დაიღო: „შენც ჯანი გაგვარდეს და შენს სამუშაოსაო“, მომაძახა პირში, „ჯერ რაც მოგვინაგრებია, მოგვიხუხულავებია, ის ხომ შეგვარჩინეს და ახლა კიდევ დაუმზადოთ, ამ უკულმართებს გადასაბუგათაო!“ მე მაინც ლაპარაკი დავუწყე, ზოგი ამ მთისა, ზოგი იმ მთისა, ომზედ, შინაურ გაჭირვებაზე და ჩავებით მუსაიფში. ბოლოს, თითქმის, სალაპარაკო გამოშლია და უნდა გამოვთხოვებოდი, მაგრამ იმან ხელი ჩამავლო და დაიწყო ლაპარაკი გულ ნაკლულად: „ამ ვერანა გაჭირვებას, ჭირნახულის მოუსავლობას, ვენახების შეფუცუნებას, უსამართლობას, ძალ-მომრეობას, მოხელეთა უყურადღებობას, საბძლის, სათივის და ქოხების გადაწვას სულ ჩვენთვის მოუცლია. ქურდბაცაცობისა აბა რაღა მოგახსენოთ! იმდენი არიან, რომ რიცხვი არა აქვთ, ამასთან მშვენიერად მოწყობილი აქვთ ეს „ხელობა“. ახლა რომ იცოდეთ რანაირად იქცევიან ეს ვაჟ-ბატონები! მთელი დღე დუქნებში ჰყრიან და „ნუნუათი“ იქლენთებიან, მხოლოდ ერთს თავიანთ კაცს ჰგზავნიან სარჩოს შესათვალიერებლად. მათი იღბალი, თუ ღამე ბნელია. მთვარიან ღამის და სინათლის წინააღმდეგნი არიან. ღვინით დარეტიანებული, გადარეული წამოიშლებიან შუა ღამისას და აღარც ძმას ინდობენ, აღარც მეგობარს. აი, მაგალითად: ამ წინაზედ ი. ნ—ს დერეფნიდან მოჰპარა ცხენი, როგორც ამბობენ, თავისმავე სიძემ, რომელიც მაღალ წოდებას ეკუთნის (თავადია). აგე მგელაანთ კაცს ყევარი კამეჩი მოჰპარეს იმ დღეს. პატრონი თავბრუ დასხმული აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მერე ერთი კაცი მისულა და დაჰპირებია კამეჩის მოყვანას, თუ ექვს თუმანს მისცემდა. კამეჩების პატრონმა მაშინვე ვალი აიღო დიდის სარგებლით და მისცა, მაგრამ, როგორც შენ ჩემთვის არაფერი მოგეყვანოს, ისე იმას. ორი-სამი დღე უცადა, დღე და ღამე მოელოდა თავის კამეჩებს, მაგრამ ამაოდ. თურმე იმ ვაჟბატონს ფული არ გაეყო თავის ამქრისათვის და იმათ კიდევ ჯიბრზე კამეჩები ტყეში დაემალნათ. საწყალი პატრონი მოტყუებული ერთისაგან ეხვეწებოდა მეორეს, შენ მაინც მიშველეო. დიდის ხვეწნის შემდეგ მოურეკნია კამეჩები და გასამრჯელოდ ხუთი თუმანი გამოურთმევია. ასე და ამ ნაირად დაარბიეს უდანაშაულო კაცი. წაართვეს თერთმეტი თუმანი იმისათვის, რომ თუ დღისით მუშაობ, რატომ ღამე იარაღ შესხმული არ უყარაულებ საქონელსაო? კიდევ რამდენს მაგალითს გეტყოდი, რომ დრო და პირი არ მენახებოდეს ამ საზიზღარ მოქმედების ჩამოსათვლელადაო. მე მიგვიანდებოდა. გამოვეთხოვე ჩემს მოსაუბრეს და გავუდექ გზას სამუშაოს საშოვნელად..

**ჩოლია.**

---

**სოფ. ლიხაური** (გურია). დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ლიხაურში გზისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ზამთარში გამართავდნენ ხოლმე მიწერ-მოწერას, მაგრამ ეს მიწერ-მოწერა ყოველთვის უყურადღებოდ რჩებოდა. წელს ისე წახდა გზები, რომ გავლა შეუძლებელი იყო. საბედნიეროდ, დეკემბერში ერთ დღეს ერთმა სოფელმა კვაჭალადზე ერთი გზა ისე გააკეთა, რომ შეიძლება დიდხანს არ გაფუჭდეს. ყველა ერთგულად მუშაობდა, რადგან მათის ნებით იყვნენ გამოსულნი. აზნაურებმაც მიიღეს მონაწილეობა, რადგან გზები ყველასთვის არის საჭირო. 23 დეკემბერს ნიაბაურშიაც მთელი სოფელი გამოვიდა გზის შესაკეთებლად აგრუანში, სადაც ერთი პატარა ღელე ჩამოდის და ახდენს მთელ გზას.

**ნიაბაურელი**

---

**ხ. ჯურუყვეთი** (გურია). მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ჩვენსკენ მტაცებლობა და ქურდ-ბაცაცობა მეტად გახშირდა; იშვიათი იქმნება ისეთი ღამე, რომ ვინმეს ცხენი, ხარი და სხვა რამე არ მოსტაცონ. ამასაც აღარ კმარობენ,—თუ ვისმეს ორი გროში შესწამეს, ჩუმად წერილს უგდებენ, ამა და ამ ადგილას ამა და ამ ღამეს ამდენი მანეთი დამახვედრე, თორემ შენი დღე დათვლილიაო. რასაკვირველია, დაზარალებული მოხელეებთან მირბის დახმარების სათხოვნელად, მაგრამ ჩვენი პატრონ-დამცველები დახმარების მაგივრად ასეთ პასუხს აძლევენ: წადი, დაიკარგე, თქვენი საქონლისათვის თქვენ ვერ მოგივლიათ და ჩვენთან დაეხეტებით, თითქო თქვენისთანებისათვის გვცალოდესო. რაკი ასე იყო საქმე, ქურდებმა თავისუფალი სარბიელი დაინახეს და თავ-აშვებულად დაიწყეს ნავარდობა. ხალხი საგონებელში ჩავარდა. თითქმის გურიის ყველა სოფელში შეადგინეს წრეები, რომელთაც აზრადა აქვთ კერძოდ ქურდობისა და ავ-კაცობის მოსპობა და საზოგადოდ ხალხის ზნეობრივ ნაკლულევანების გასწორება. დამნაშავეთ შესაფერს გაკვეთილს აძლევენ—სასტიკ სასჯელს უდებენ. უკეთუ არ გასწორდება და არ მოინდომებს, საზოგადოების პატიოსანი წევრი გახდეს, ბოროტ-მომქმედს ისეთ რისხვას დაატეხენ თავზე და ისეთის თავ-მოყვარეობის შემლახველ სასჯელით სჯიან, რომ დამნაშავე სიკვდილსა რჩეობს, ვიდრე ცუდ კაცობის გამეორებას. ყველა, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, დიდის სიხარბით დაეწაფა ამ ახალ საშუალებას და სასიქადულო და საამაყო ნაყოფის გამოღების იმედებსაც ვხედავთ.

**დ. გიგინეიშვილი**

## წერილი რედაქციის მიმართ

„ცნობის ფურცლის“ მე-2701 ნომერში თოთხმეტის მუშის მიერ ხელმოწერილი წერილია დაბეჭდილი, რომელშიაც მოთხრობილია 10 დეკემბერს ქუთაისის სადგურზე მომხდარი ინცინდენტი. წერილში საქმის გარემოება მეტის მეტად გადასხვაფერებულია. აი ნამდვილად საქმე როგორ მოხდა: ერთი ბარგიანი მუშა პ. გ. წ—ძეს დაეტაკა, რისთვისაც წ—ძემ მას ხელი ჰკრა და ბარგი ხელიდან გააგდებია. ამ მუშას იქ მყოფი მეორე მუშა ს—ძე გამოესარჩლა და ერთობ ხმა მაღლა დაიწყო მისი დაცვა. ამ დროს იქვე მაზრის უფროსი იყო და მან ჟანდარმს მიმართა, რომ ს—ძე თავხედურ ყვირილისათვის დაეკავებია. ს—ძე ჩვენებურია, ჩემი ნაცნობია; ვიფიქრე, ვაი-თუ მართლა დააკავონ-მეთქი და ვურჩიე, იქიდან წასულიყო. ჩემი რჩევა არა თუ შეისმინა, პირიქით ყვირილი დამიწყო: რა შენი საქმეაო? შედი და დაჯექი, აგერ შენთვის ვაგონშიო! და სხვა. მართალი წერილში მხოლოდ ის არის, რომ უშვერი სიტყვები ვერ მოვითმინე და ხელით შევეხე. წერილში სრულიად მოჭორილია ის გარემოება, თითქო მე დამეძახოს: გზა დამიცალეთო და მიუხედავად ს—ძის ბოდიშისა და ზრდილობიან პასუხისა, მივვარდნილიყო და სილა გამერტყას. გონიერი მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ზრდილობიან პასუხისთვის სილის გარტყმევა ყოვლად შეუძლებელია. მკითხველი იმასაც მიხვდება, რომ თოთხმეტი მუშა ერთად ვაგონთან არ იქნებოდა გაჩერებული: იმ დროს იქ ს—ძის მეტი მუშა არა ყოფილა და, მაშასადამე, დანარჩენნი წერილის ხელის მომწერნი ამ შემთხვევაში ცრუ მოწმობას უწევენ ს—ძეს.

**თავ. ნესტორ დავითის-ძე ერისთავი.**

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

## გამოსადეგი ცნობანი

### პეტერბურგის ბირჟა 28 დეკემბერი

| | |
|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. ტ. | 93,95 |
| ბერლინისაზე 100 მარკაში | 45,97$^1/_2$ |
| პარიზისაზე 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,60 |
| ბერლინისაზე „ | 46,30 |
| პარიზისაზე „ | 37,62$^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | 6,7$^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 89$^1/_2$ |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | — |
| 4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ. | — |
| 4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. | 87 |
| 5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. | 419 |
| 5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. | 322$^1/_2$ |
| 5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან. | 265 |
| 5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. | — |
| 4$^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად. | — |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. | — |
| 5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. | — |
| 4$^1/_2$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა | — |
| 6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| ა.$^1/_2$ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 225 |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს:** 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს:** სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან:** 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**ბ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

### სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

**ტფილისში:**

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოლოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის,** უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი სტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## განცხადებანი

გამოვიდა გასასყიდად ახალი წიგნი

„ბრძოლა ჩვენს პრესსასა და საზოგადოებაში

შეპარულ შეცდომა—ნაკლულევანებებთან“,

თხზ. ტ. ართმელაძისა, საგულისხმო წერილებით, მაგ: ჩვენებური ჟურნალ-გაზეთობა და მათი სიყალბე; რა საშუალებას ხმარობენ ჩვენებური ჟურნალ-გაზეთები სიმართლის გამოსარკვევად? რა არის კრიტიკა და როგორ უნდა მოქმედებდეს იგი? ნოე ჟორდანიას წერილი ჩვენებური პრესსის შესახებ და ბ. ახალ-მოსულის კრიტიკა; რა სთქვა აკაკიმ ქუთაისის თ.-აზნ. კრებაზე და რანაირად გადაამახინჯა იგი ბ-ნმა მოსაუბრემ და სხვანი.,. 160 გვ. ფასი გაგზავნით 35 კაპ. წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობა 30%. ადრესი: Въ тифлисъ, редакція „могзаури“. (5—409—2)

**ქართველ ქალთა**

ამხანაგობის სამკერვალო სკოლის მოწაფეთა ნახევარზე მეტი ეკუთვნის უღარიბეს ტფილისის მცხოვრებთ ხელოსანთა და ქვრივ-ობლ ოჯახს, ამისათვის გამგეობა ქალთა ამხანაგობისა უმორჩილესად სთხოვს ქართველ ქველ-მოქმედთ, ვაჭართ და ხელოსანთ აღმოუჩინონ რაიმე დახმარება ამ სადღესასწაულოთ! ყოველი შემოწირულობა მადლობით მიიღება სახელოსნო სკოლის სადგურზე ვერაზე, მოსკოვის ქუჩა, სახლი ა. გაბაშვილისა, № 6. (3—3)

**ქუთაისში**

სამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი ალოფოვისა, № 92, საზაფხულო სცენის ახლოს. (წ.—176—96)

№ 4711
CAPTOL
„კაპტოლი“
საუკეთესო წყალი თმებისათვის

კარგია თავის კანის გასაწმენდად, გასაგრილებლად და ნერვების გასაცოცხლებლად. განსაკუთრებით კარგია თავის კანის ქერტლისა და იმისაგან წარმომდგარ უსუსურობის წინააღმდეგ. თმას ამაგრებს და დაცვენას უშლის; მომზადებულია ელბერფელდელ ექიმის ი. ეიხჰოფის სისტემით. „კაპტოლი“ არ არის საიდუმლო წამალი.

ერთად ერთი ფაბრიკანტი
ფერდ. მიულგენსი
კელნი და რიგა.
მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა-და-სხვა მასალის დამმზადებელი.
(6—მკ.—4)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

**კიოსკში**

ლორის-მელის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | |
|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—[illegible] | — 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — 50 |
| ბნელით, მოთხრობა—[illegible] | — 20 |
| ალ. ყაზბეგის I ტომი | 1 50 |
| II და III ტომი თითო | 1 — |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ | — 80 |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა | — 10 |
| სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა | — 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო | — 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — 60 |
| საქართველოს წარსული დრო—ხოტტისი | — 20 |
| აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა | — 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — 30 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — 15 |
| ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა | 1 50 |
| რძე, მისივე | 1 50 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—სენკევიჩისა | — 80 |
| დასტურ-ლამა | — 20 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა | — 20 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — 25 |
| ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა | — 1 |

თამბაქოს ქარხანა სავაჭრო სახლის
ნ. ი. ბოზარჯიანცისა და ძ-სა.
(ქარხანა არსებობს 1858 წლიდან)

ჩვენის მუშტარის **გასაფრთხილებლად** ვაცხადებთ, რომ თამბაქოს ქარხანამ სააქციონერო საზოგადოების

„მირ“-ისა, მ. პ. საფაროვის მემკვიდრეებისა

და სხვათა დაამზადეს პაპიროსები. ეს პაპიროსები ისეთსავე ყუთებში აწყვია, ისეთივე წარწერა აქვს ეტიკეტებზე, აგრეთვე ფორმა კოლოფებისა და ქაღალდის ფერი, როგორსაც ჩვეულებრივ ხმარობს ჩვენი ფირმა, რომლის ნაწარმოებიც მეტად გავრცელდა.

№ 8. ფასი 10 ცალი 5 კ.
„სიმპატია“ № 15 ფასი 10 ც. 5 კ.
„ნაროდნია“ № 7 ფასი 10 ც. 3 კ.
„ეკონომია“ № 16 ფასი 10 ც. 3 კ.

ამის გამო ვთხოვთ მყიდველთ ამ პაპიროსების მოთხოვნის დროს ყურადღება მიაქციონ.

მთავრობის მიერ დამტკიცებულ ეტიკეტს და საქარხნო ნიშანს და ყოველ კოლოფზე მოთავსებულ წარწერას.

Заявлено отделу промышленности.

ნ. ი. ბოზარჯიანცი ძ-ით.

მუშტრის მოსატყუებლად „მირის“ ქარხანა თავის ნაწარმოებზე იმავე №№, როგორსაც ჩვენი, ასვამს ისეთ ნიშანს, რომელიც ძნელი გასარჩევია ჩვენის სავაჭრო სახლის ნიშნისაგან. სამართალში მივცემთ სიყალბის ჩამდენთ. (10—5)

Доз. цен. Тифлисъ, 3 января 1904 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამ. ამხ—ა.